

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ფაკულტეტი

მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის #107-ე დეპარტამენტი

საგამოცდო ტესტები საგანში: „მშენებლობის ეკონომიკა და მენეჯმენტი“ მაგისტრატურაში შემსვლელთათვის მშენებლობის მენეჯმენტის სპეციალიზაციით

ტესტები შედგენილია შემდეგი სახელმძღვანელოების მიხედვით:

1. ევგ. ბარათაშვილი, ლ. ქოქიაური: „მენეჯმენტის პრინციპები“ (სახელმძღვანელო). თბ., სტუ 2010. 608 გვ.
2. ნ.ორჯონიკიძე, ლ.ყიფიანი, ვ. ბაგდასარიანი „ბიზნესის საფუძვლები“. სტუ, 2007. 204 გვ.
3. ჯ. ჩოგოვაძე, რ. პატარაია. „მშენებლობის ეკონომიკა“ დამხმარე სახელმძღვანელო: თბ., 2008. 172გვ.
4. გრეგორი მენქიუ: „ეკონომიკის პრინციპები“. თბ., 2000. 1064 გვ.
5. ლამარა ქოქიაური: „საინვესტიციო საქმე“. სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, სტუ, 1362 გვ.

1. რა არის მიუღებელი საქმიანი ადამიანის ღირსების კოდექსისათვის:

ა) ფირმის საკუთრება და მისი კუთვნილი ინფორმაცია ბიზნესმენის მიერ გამოყენებული იქნას პირადი გამორჩენისათვის;

ბ) ხელისუფლებისადმი სავალდებულო პატივისცემა;

გ) პატივისცემა საკუთარი ქვეყნისა და სხვა სახელმწიფოთა კულტურისა და ტრადიციებისადმი;

დ) კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის დაცვა, უკანონო წინადადებებისა და შემოთავაზებების ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უარყოფა.

2. კონსულტანტის რანგში თქვენი წარმოჩენის შემთხვევაში, რა სამუშაოს შესრულებას დაეთანხმებოდით:

ა) ისეთი სამუშაოების შესრულებას, რომელიც შედის თქვენს კომპეტენციაში და არ სცილდება თქვენი ცოდნისა და კვალიფიკაციის სფეროს;

ბ) იმ სამუშაოს შესრულებას, სადაც მიწვეული ხართ იმისათვის, რომ ისარგებლონ თქვენი რეპუტაციით და მოგაწერინონ ხელი უკვე გამზადებულ დასკვნაზე ანდა მსჯელობაზე;

გ) იმ სამუშაოს შესრულებას, რომლის შესრულების ვადები ან პირობები არ იძლევა სრული თავისუფლებისა და ობიექტურობის გარანტიას;

დ) იმ დავალების შესრულებას, რაც დაკავშირებული იქნებოდა კანონის ანდა გარკვეული ეთიკის ნორმების დარღვევასთან.

3. მენეჯერის როლიდან და მისიიდან გამომდინარე მოცემული რჩევებიდან რომელს არ გაიზიარებდით:

ა) ძალიან ბევრია დამოკიდებული სამუშაოსადმი განწყობასა და შრომის სურვილზე. ადრე თუ გვიან თქვენ გაიგებთ, რომ სასჯელს ხშირად მოაქვს უფრო მეტი ზარალი, ვიდრე სარგებელი;

ბ) მეთაურის ამოცანაა იზრუნოს თავისი ხელქვეითების ცხოვრების პირობებსა და ჯანმრთელობაზე;

გ) ჯანსაღ აზრს ინსტრუქციებიდან ვერ აიღებ. ხელმძღვანელისაგან ხშირად მოითხოვენ არასტანდარტულ გადაწყვეტილებას;

დ) მხოლოდ სხვათა თანდასწრებით მიეცით შენიშვნა თქვენს ხელქვეითს.

4. საწარმოო პროცესების მიმდინარეობის დროს სამუშაო დროის რომელი სახით დანაკარგებს შეეგუებოდა მენეჯერის რანგში თქვენი პიროვნება:

ა) ნაკლოვანებებს შრომის დანაწილებაში;

ბ) მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში დაშვებულ უზუსტობებს;

გ) სამუშაო დღის ცუდად დაგეგმვას;

დ) სამუშაო დისციპლინის განმტკიცების მიზნით საწარმოო პროცესების მენეჯერებთან და პასუხისმგებელ შემსრულებლებთან აუცილებელ შეკრებას.

5. ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპებიდან ვერ იქნება ეფექტიანი მენეჯერი თუ:

- ა) ეფექტიანი მენეჯერი ორიენტირებულია შრომის პროცესებზე და არა მის შედეგებზე;
- ბ) ეფექტიანმა ხელმძღვანელმა იცის, რაზე იხარჯება სამუშაო დრო;
- გ) ძალისხმევას მიმართავს იმ სფეროებზე, სადაც კარგად შესრულებული სამუშაო უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგების მიღებას;
- დ) ღებულობს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, დგამს სწორ, თანმიმდევრულ ნაბიჯებს.

6. მენეჯერისათვის აუცილებელი მცნებებიდან რომელს ვერ გაიზიარებდით:

- ა) გაზარდეთ დანახარჯები მოგების შემცირების სანაცვლოდ;
- ბ) მიაღწიეთ შედეგებს მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ;
- გ) აკეთე სწორი საქმეები და არა საქმე აკეთე სწორად;
- დ) მოახდინეთ რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია მათი დაზოგვის სანაცვლოდ;

7. მენეჯერის რომელი თვისება მიგაჩნიათ მიუტევებელ ცოდვად:

- ა) უნარი, ეფექტიანად აღაფრთოვანოს ხალხი;
- ბ) უნარი, მოხსნას ნერვული დამაბულობა;
- გ) მისწრაფება განვითარებისაკენ;
- დ) კრიტიკის ჩახშობა.

8. ბიზნეს-გეგმის ფუნქციას არ შეადგენს:

- ა) საწარმოს დაგეგმვა;
- ბ) ფულადი სახსრების მოზიდვა;
- გ) პოტენციური პარტნიორების მოძიება;
- დ) ბიზნესის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ნორმატიული აქტების კრიტიკა.

9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება მენეჯმენტის სამ ძირითად ამოცანას:

- ა) სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების კვლევა;
- ბ) ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- გ) შრომის მწარმოებლურობის გაზრდა და მუშაკთა ორიენტაცია მაღალ მიღწევებზე;
- დ) ორგანიზაციის საზოგადოებაზე ზემოქმედების და მისი სოციალური პასუხისმგებლობების მართვა;

10. როდის შეიძლება ჩაითვალოს მენეჯმენტის გადაწყვეტილება უპასუხისმგებლოდ:

- ა) თუკი იგი დაკავშირებულია მაღალ რისკებთან გრანდიოზული მომავლის სახელით;
- ბ) კაპიტალის ხარჯვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება გუნდური პრინციპის საფუძველზე;
- გ) ადამიანური კაპიტალის გამოყენების მიზნით სამუშაო უბნებზე მონიტორინგის ჩატარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება;
- დ) საკადრო პოლიტიკის გატარების პროცესში პროფესიული ნიშნისა და კვალიფიკაციისადმი უპირატესობის მინიჭება.

11. საწარმოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის რომელი რესურსების უქონლობა მიგაჩნიათ შესაძლებლად:

- ა) ადამიანური;
- ბ) ფინანსური;
- გ) მატერიალური;
- დ) არასამუშაო დღეებში თანამშრომლების ორგანიზებული დასვენებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭირო ინვენტარით.

12. ორგანიზაციის რომელ ტიპს მიეკუთვნება დაქირავებულ მუშაკთა შიშზე, მუქარასა და შემთხვევით წახალისებაზე დაფუძნებული მართვა, სადაც მენეჯერები და ლიდერები არ ენდობიან თავიანთ ხელქვეითებს:

- ა) კონსულტატიური ორგანიზაცია;
- ბ) მონაწილეობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია;
- გ) ექსპლოატატორული და ავტორიტარული ორგანიზაცია;
- დ) კეთილსასურველი ორგანიზაცია.

13. ის ერთადერთი, რითიც ლიდერი მკვეთრად განსხვავდება არალიდერისაგან, არის შემდეგი:

- ა) ნიჭიერება;
- ბ) მაღალი პროფესიონალიზმი;
- გ) თანამოაზრეების არსებობა;
- დ) მოგებაზე ორიენტირებული მიზნების დასახვის უნარი.

14. ის, რითიც ჩვეულებრივი მმართველი განსხვავდება ხელმძღვანელი ლიდერისაგან არის შემდეგი:

- ა) ემყარება კონტროლს, გაურბის რისკებს, აქეზებს პერსონალს წესრიგის სტანდარტების დაცვისაკენ.
- ბ) ნერგავს სიახლეებს;
- გ) აღაფრთოვანებს ადამიანებს ცვლილებების კუთხით;
- დ) აქცენტს აკეთებს ფილოსოფიაზე, ფუნდამენტურ ფასეულობებზე, საერთო მიზნებზე.

15. მენეჯმენტის საქმიანობა მმართველობითი ფუნქციების შესრულების რომელ პროცესებს მოიცავს:

- ა) დაგეგმვა;
- ბ) კონტროლი;

- გ) პერსონალის მართვა;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილს ერთად.

16. სამშენებლო ფირმის ქვემოთ ჩამოთვლილი მართვის სტრუქტურებიდან რომელი ისახავს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალითა და კვალიფიციური მუშა-ხელით უზრუნველყოფის ამოცანას?

- ა) ბუღალტერია.
- ბ) საწარმოო სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის განყოფილება;
- გ) კადრების განყოფილება;
- დ) იურიდიული სამსახური.

17. ბიზნესის რომელი სახეობა მიგაჩნიათ შორს ბიზნესის მორალური და ეთიკური მხარისაგან:

- ა) სამშენებლო ბიზნესი;
- ბ) ვაჭრობა;
- გ) სათამაშო ბიზნესი (კაზინო, ტოტალიზატორი);
- დ) საერთაშორისო გადაზიდვები.

18. თანამედროვე ცივილიზებულ ბიზნესში ბიზნესმენი ვალდებულია ფიქრობდეს:

- ა) მხოლოდ თავის სარგებელზე;
- ბ) მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობაზე;
- გ) მხოლოდ მომხმარებელზე;
- დ) როგორც თავის, ასევე ბიზნესის სხვა მონაწილეების სარგებელზეც, ეს ეხება როგორც პარტნიორს, ისე დაქირავებულ მუშაკს, მომხმარებელსა და სახელმწიფოსაც.

19. ბიზნესის უმარტივესი და ყველაზე გავრცელებული ფორმაა:

- ა) სააქციო საზოგადოება;
- ბ) ინდივიდუალური მეწარმეობა;
- გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- დ) კომანდიტური საზოგადოება.

20. რომელი სახეობის ბიზნესისათვის არის დამახასიათებელი წარმოებიდან მომხმარებლამდე საქონელმოდროების საშუაშვლო საქმიანობა ყიდვა-გაყიდვის საშუალებით:

- ა) საქონლისა და მატერიალური მომსახურების წარმოება;
- ბ) სავაჭრო ბიზნესი;
- გ) საფინანსო ბიზნესი;
- დ) არამატერიალური მომსახურება.

21. საწარმოო ბიზნესის ბოლო სტადია არის:

- ა) საბრუნავი საშუალებების ფორმირება;
- ბ) ტექნიკური საშუალებების შემენა-მონტაჟი;
- გ) პროდუქციის გამოშვება;
- დ) გამოშვებული პროდუქციის მიყიდვა მომხმარებელზე ან სავაჭრო ფირმაზე.

22. რა სახის საქმიანობად არის მიჩნეული კონსულტირება საგადასახადო საკითხებში, ბუღალტრულ აღრიცხვაში, კაპიტალის მართვაში ან პროექტების მენეჯმენტში:

- ა) ლიზინგი;
- ბ) საშუაშვლო საქმიანობა;
- გ) კონსალტინგური საქმიანობა;
- დ) ვაჭრობა.

23. *საშუამავლო საქმიანობის შემოსავლების ფორმირების წყაროს წარმოადგენს:*

- ა) წარმოებული პროდუქცია;
- ბ) საქონლით ვაჭრობა;
- გ) ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა;
- დ) სარწმუნო, რეალური და სანდო ინფორმაციის მოპოვება და მიწოდება გარიგების მხარეებისათვის.

24. *ბიზნესის გარემოს შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება:*

- ა) მომწოდებლები;
- ბ) ფირმის კონკრეტული მიზნები, სტრუქტურა, შრომითი რესურსები, ტექნოლოგიები, მატერიალური მარაგები;
- გ) კონკურენტები;
- დ) სამართლებრივი და ნორმატიული აქტები.

25. *რა სახის პროდუქტს მიეკუთვნება სამშენებლო ბლოკის მწარმოებელი საწარმოსათვის საჭირო დანადგარები და ტექნოლოგიური მოწყობილობები:*

- ა) ყოველდღიური მოთხოვნის პროდუქტი;
- ბ) იმპულსური ყიდვის პროდუქტი;
- გ) წინასწარი შერჩევის პროდუქტი;
- დ) საწარმოო დანიშნულების პროდუქტი.

26. *ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა შეიძლება იყოს ბაზარზე ახალი საქონლის წარმატების მიზეზი:*

- ა) ბაზრის არასათანადო ანალიზი და კვლევა;
- ბ) მომხმარებლის მოთხოვნის არასწორი განსაზღვრა;
- გ) დაბალი ფასი ახალ საქონელზე, კონკურენტ საქონელთან შედარებით;
- დ) ახალი საქონლის დამუშავების არადროულობა, დაგვიანებით მიწოდება ბაზარზე;

27. ფასს, რომელსაც სამშენებლო კომპანია აწესებს საცხოვრებელ ფართებზე მიკრო და მაკრო გარემოს გათვალისწინებით არის:

- ა) საბითუმო ფასი;
- ბ) საცალო ფასი;
- გ) ფიქსირებული ფასი;
- დ) მოქნილი ფასი.

28. საფასო გადაწყვეტილებაზე მომქმედ გარე ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ა) პროდუქციის ხარისხი;
- ბ) დანახარჯები პროდუქციაზე;
- გ) მარკეტინგის მიზნები (კომპანიის საბაზრო წილისა და მიმდინარე მოგების გაზრდა);
- დ) კონკურენცია, ინფლაციური პროცესები ეკონომიკაში და გადასახადები.

29. გაყიდვების მოცულობის შენარჩუნების ან გაზრდის მიზნით საფასო სტრატეგიის შემუშავებისას, ყველაზე ეფექტურ ღონისძიებად მიიჩნევა:

- ა) კონკურენტებზე აყოლა;
- ბ) შემთხვევითი ფასების დაწესება;
- გ) ფასების იშვიათად, მაგრამ რადიკალური გაზრდა;
- დ) პროდუქციის ხარისხის გაზრდა არსებული ფასების შენარჩუნების პირობებში.

30. რა როლი აკისრია მენეჯერს, რომელიც გასცემს ინფორმაციას საქმიანობის შედეგებსა და მომავალ გეგმებზე:

- ა) მენეჯერი მთავარი ხელმძღვანელის როლში;
- ბ) მენეჯერი ინფორმაციის წარმდგენის როლში;
- გ) მენეჯერი მოლაპარაკებათა მწარმოებლის როლში;
- დ) მენეჯერი მეწარმის როლში.

31. რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას:

- ა) ადგილობრივი თავისუფალი ფინანსური, ინტელექტუალური და სანედლეულო რესურსების არაეფექტურმა განკარგვამ;
- ბ) საგადასახადო სისტემის მოწესრიგებამ;
- გ) კეთილსინდისიერებაზე, პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზე დაფუძნებული ბრძენი სამთავრობო სტრუქტურების ჩამოყალიბებამ;
- დ) მეწარმეთა საქმიანობის მასტიმულირებელი მექანიზმების შექმნამ.

32. უნარ-ჩვევათა ერთობლიობა, რომელთაც ადამიანები წარმოების პროცესში იყენებენ არის:

- ა) ადამიანური კაპიტალი;
- ბ) ფინანსური კაპიტალი;
- გ) ბუნებრივი რესურსი;
- დ) კაპიტალური რესურსი.

33. აღრიცხვა როგორც მართვის ფუნქცია მოიცავს:

- ა) ოპერატიულ აღრიცხვას;
- ბ) საბუღალტრო აღრიცხვას;
- გ) სტატისტიკურ აღრიცხვას;
- დ) სამივეს.

34. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება კონკურენტი ფირმების შედარებითი მონაცემების მოძიებისათვის აუცილებელ მაჩვენებლებს?

- ა) გამოშვებული პროდუქციის მოცულობა;
- ბ) ფასები პროდუქციაზე;
- გ) ინფლაციის დონე;
- დ) დანახარჯები ერთეული პროდუქციის შექმნაზე (თვითღირებულება).

35. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია:

- ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- გ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად.

36. რომელი სახეობის მშენებლობას მიეკუთვნება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა:

- ა) სამრეწველო;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო;
- გ) სატრანსპორტო;
- დ) ჰიდროტექნიკური და ჰიდრომელიორაციული.

37. რომელი მაჩვენებელი არ მიეკუთვნება სამშენებლო პროდუქციის შექმნაზე გაწეულ დანახარჯებს:

- ა) დანახარჯები სამშენებლო მასალებზე და ნაკეთობებზე;
- ბ) მანქანა- მექანიზმების ექსპლოატაციაზე გაწეული დანახარჯები;
- გ) კომპანიის მოგება;
- დ) მუშა-მოსამსახურეებზე გაცემული ხელფასი.

38. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება ზედნადებ ხარჯებს:

- ა) დანახარჯები სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების შექმნაზე;
- ბ) საოფისე ხარჯები;

- გ) ტექნიკური საშუალებების შეძენასა და ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯები;
- დ) ძირითად სამუშაოებზე დასაქმებულთა ხელფასი.

39. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში რისი გათვალისწინება არ არის აუცილებელი საპროექტო ორგანიზაციის მიერ:

- ა) შესასრულებელ სამუშაოთა ფიზიკური მოცულობები;
- ბ) ფასები სამშენებლო რესურსებზე;
- გ) ზედნადები ხარჯები;
- დ) მშენებლობაზე გაწეული დანახარჯების უკუგების პერიოდი.

40. დანახარჯების რომელ მუხლს მიეკუთვნება სამუშაოების ზამთრის პირობებში შესრულებით გამოწვეული გაძვირება:

- ა) წარმომადგენლობითი ხარჯები;
- ბ) სამშენებლო მოედნის კეთილმოწყობის ხარჯები;
- გ) ობიექტის ამოქმედებასთან დაკავშირებული დანახარჯები;
- დ) სხვა გათვალისწინებელი სამუშაოები და დანახარჯები.

41. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს სამშენებლო პროექტის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს:

- ა) მომავალი ობიექტის არქიტექტურულ-გეგმარებითი, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტების გრაფიკული მასალები (ნახაზები);
- ბ) დამკვეთსა და სამშენებლო კომპანიას შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულება;
- გ) განმარტებითი ბარათები, რომლებიც განსაზღვრავენ ობიექტის აგების ტექნიკურ შესაძლებლობას, სამუშაოების ჩატარების საიმედოობას და უსაფრთხოებას;
- დ) სახარჯთაღრიცხვო-ეკონომიკური ნაწილი.

42. ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებიდან რომელი მიეკუთვნება პროექტის შემდგომი- III ეტაპის სამუშაოებს:

- ა) დამკვეთის მიერ პროექტირებაზე დავალების გაცემა;
- ბ) არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების შემუშავება;
- გ) საავტორო ზედამხედველობა;
- დ) საინჟინრო და ტექნიკურ- ეკონომიკური გამოკვლევების ჩატარება.

43. საპროექტო გადაწყვეტების დონის, მათი ხარისხისა და პროგრესულობის უზრუნველყოფა დონისძიებათა სისტემაში, რომელი მიეკუთვნება პროგრესული მასალებისა და კონსტრუქციების გამოყენების მიმართულებას:

- ა) ტერიტორიის განაშენიანების სიმჭიდროვის გაზრდა;
- ბ) საინჟინრო კომუნიკაციების და ქსელების შეთავსებული გაყვანა;
- გ) კონსტრუქციების ქარხნული წესით დამზადების გაფართოება, ანუ აწყობადობის კოეფიციენტის გაზრდა;
- დ) მშენებლობაში ალუმინისა და სხვა მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენება სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების ხანგამძლეობის ზრდისა და ფასადების ესთეტიკური მხარის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

44. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება სამშენებლო კომპანიის ძირითად საწარმოო ფონდებს:

- ა) სამშენებლო მანქანები და მექანიზმები, ასევე საწარმოო შენობები და ნაგებობები;
- ბ) სამშენებლო მასალები (აგური, ცემენტი, ქვიშა და ა. შ.);
- გ) დამფუძნებლების ფულადი შენატანები;
- დ) გადახურვის კონსტრუქციები და დეტალები.

45. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება კომპანიის საბრუნავ სახსრებს:

- ა) საოფისე ფართი;
- ბ) საოფისე ინვენტარი;

- გ) სხვადასხვა სიმძლავრის ამწეები, ძალოვანი მანქანები და სატრანსპორტო საშუალებები;
- დ) მშენებლობისათვის საჭირო აგური, სამშენებლო ბლოკები, საღებავები; თბო და ბგერა საიზოლაციო მასალები.

46. *ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ ასახავს შრომისნაყოფიერების განმარტებას:*

- ა) შრომის ნაყოფიერება არის შრომითი დანახარჯების ეფექტურობა წარმოების პროცესში;
- ბ) შრომის ნაყოფიერება არის კონკრეტული შრომით სამუშაო დროის ერთეულში შექმნილი პროდუქციის გარკვეული რაოდენობა;
- გ) შრომის ნაყოფიერება განისაზღვრება პროდუქციის რაოდენობით (ღირებულებით ან ნატურალურ მაჩვენებლებში) შექმნილი მომუშავის მიერ დროის ერთეულში;
- დ) შრომის ნაყოფიერება არის სამშენებლო კომპანიის მიერ წლის განმავლობაში წარმოებული სამშენებლო პროდუქციის ღირებულება.

47. *ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მიეკუთვნება შრომის ნაყოფიერების ზრდის მატერიალურ-ტექნიკურ ფაქტორს:*

- ა) ახალი სახის ნედლეულისა და პროგრესული მასალების გამოყენება მშენებლობებზე, მოწყობილობების მოდერნიზაცია;
- ბ) მართვის აპარატის სტრუქტურული ცვლილებები;
- გ) მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ფორმირება;
- დ) პოლიტიკური და საკანონმდებლო ფაქტორები, რომლებიც არეგულირებენ საგადასახადო, ინვესტირების, ლიცენზირებისა და საბაჟო პროცესებს.

48. *სამშენებლო კომპანიის საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური შედეგების შეფასების სისტემაში რომელი მაჩვენებელი ასახავს კომპანიის ძირითად მიზანს:*

- ა) გაყიდვების მოცულობა;
- ბ) დასაქმებულთა რაოდენობა;

- გ) ტექნიკური აღჭურვილობის დონე;
- დ) კომპანიის მოგება.

49. რომელი განმარტება მიგაჩნიათ კომპანიის წლიური მოგების ზუსტ განსაზღვრებად:

- ა) პროექტებით განსაზღვრულ კრებსით სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ჯამსა და წლის განმავლობაში გაწეულ ყველა დანახარჯებს შორის სხვაობა;
- ბ) დამკვეთების მიერ წლის განმავლობაში გადახდილ თანხებსა და კომპანიის მიერ გაწეულ ყველა დანახარჯებს შორის სხვაობა;
- გ) ცალკეული პროექტების კრებსით სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში გათვალისწინებული მოგებების არითმეტიკული ჯამი;
- დ) კომპანიის ყველა სახის საქმიანობიდან (სამშენებლო პროდუქციის გაყიდვებიდან, სამშენებლო ტექნიკის გაქირავებიდან, დამხმარე მეურნეობების ეკონომიკური საქმიანობიდან) ერთ საგადასახადო პერიოდში (წლის განმავლობაში) მიღებულ შემოსავლებსა და ყველა სახის გაწეულ დანახარჯებს (სამშენებლო მასალები, მანქანა-მექანიზმები, მომუშავეთა ხელფასი, ზედნადები ხარჯები) შორის სხვაობა წარმოადგენს კომპანიის გაუნაწილებელ მოგებას.

50. სამშენებლო კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ძირითადი მიმართულებებიდან რომელი მიეკუთვნება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების ანალიზს:

- ა) წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ექსპლოატაციაში გადაცემული საცხოვრებელი ფონდი (კვ. მეტრი);
- ბ) შრომის ნაყოფიერების მიღწეული მაჩვენებელი;
- გ) კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი ფონდების ფონდუკუგებისა და ფონდაღჭურვილობის მაჩვენებლები;
- დ) კომპანიის დანახარჯები ერთ ლარ სასაქონლო პროდუქციაზე ან პროდუქციის ერთეულზე.

51. აგურზე მოთხოვნის გაზრდამ, პირველ რიგში შეიძლება გამოიწვიოს:

- ა) აგურზე ფასის გაზრდა;
- ბ) ბლოკზე ფასის შემცირება;
- გ) ბლოკზე მიწოდების შემცირება;
- დ) აგურზე ფასის შემცირება.

52. რაში მდგომარეობს სამშენებლო პროდუქციის განსაკუთრებულობა ყველა სხვა დარგის პროდუქციასთან შედარებით:

- ა) განსხვავებით სხვა დარგის პროდუქციისაგან სამშენებლო პროდუქცია არის უძრავი და ყიდვა-გაყიდვის პროცესში არ ხორციელდება მისი რაიმე მიმართულებით გადაადგილება;
- ბ) სამშენებლო პროდუქცია არის ყველაზე ძვირადღირებული პროდუქცია;
- გ) სამშენებლო პროდუქციის შექმნას ჭირდება ყველაზე დიდი დრო;
- დ) სამშენებლო პროდუქციის ფორმირების პროცესი მოითხოვს ყველაზე მეტი რაოდენობის ადამიანური რესურსების მობილიზაციას.

53. რა წარმოადგენს სამშენებლო კომპანიისათვის ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების მნიშვნელოვან პირობას?

- ა) მინიმალური ხანგრძლივობა სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისათვის;
- ბ) შექმნილ სამშენებლო პროდუქციაზე გაწეული მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების დაბალი მაჩვენებელი;
- გ) კონკურენტ ფირმებთან შედარებით, შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოებზე (შესრულებული სამშენებლო პროდუქციის ერთეულზე) ყველაზე ნაკლები გადასახდელი თანხის მოთხოვნა;
- დ) მაღალ ხარისხოვნად მომზადებული სატენდერო წინადადების წარდგენა.

54. ვინ შეიძლება მოგვევლინონ სამშენებლო პროდუქციაზე დამკვეთის როლში?

- ა) სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციები;
- ბ) ადგილობრივი ცალკეული ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები;
- გ) ფიზიკური პირები;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

55. სამშენებლო კომპანიის გაყიდვების ობიექტად არ შეიძლება მოიაზრობოდეს:

- ა) სამრეწველო დანიშნულების ობიექტები;
- ბ) სამოქალაქო სექტორში განხორციელებული მშენებლობები;
- გ) სამშენებლო კომპანიის დამხმარე საწარმოებში წარმოებული ჭარბი სამშენებლო რესურსები;
- დ) სამშენებლო კომპანიაში დასაქმებული მუშახელი.

56. საცხოვრებელი სახლი, როგორც საქონელი, გამოყენების ხანგრძლივობის მიხედვით რომელ კატეგორიას მიეკუთვნება?

- ა) ხანგრძლივი მოხმარების საქონელი;
- ბ) მოკლევადიანი მოხმარების საქონელი ;
- გ) მომსახურების ობიექტი 10 წელზე მეტი პერიოდისათვის;
- დ) სამრეწველო დანიშნულების საწარმო ხანგრძლივი ფუნქციონირებისათვის.

57. რა დანახარჯებს ითვალისწინებს ფასწარმოქმნის პროცესი მშენებლობაში?

- ა) დანახარჯებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე;
- ბ) ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟზე;
- გ) ტექნოლოგიური მოწყობილობების, ავეჯის, ინვენტარის შეძენაზე;
- დ) სამივეს ერთად.

58. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება ბრიგადირის ვალდებულებას?

- ა) შესრულებული სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;
- ბ) ბრიგადის წევრებზე კონტროლის განხორციელება, სამუშაო ადგილების მასალებით, ინსტრუმენტებითა და სამარჯვეებით უზრუნველყოფა;
- გ) აქტების გაფორმება დახურულ სამუშაოებზე;
- დ) სასაწყობო მეურნეობებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვის ორგანიზაცია.

59. რა ტიპის საწყობები გამოიყენება ისეთი მასალების შესანახად, რომლებსაც ატმოსფერული ნალექების არ ეშინია (ინერტული მასალები, რკინაბეტონის ნაკეთობები)?

- ა) სპეციალიზებული საწყობები;
- ბ) ღია საწყობები;
- გ) დახურული საწყობები;
- დ) უნივერსალური საწყობები.

60. რით განისაზღვრება სამშენებლო პროდუქციის (შენობის ან ნაგებობის) ღირებულება?

- ა) ლოკალური ხარჯთაღრიცხვით;
- ბ) შენაკრები სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებით;
- გ) ლოკალურ-რესურსული გაანგარიშებით;
- დ) საობიექტო ხარჯთაღრიცხვით.

61. რამდენ პროცენტს შეადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით?

- ა) 30% ;
- ბ) 18%;
- გ) 20%;
- დ) 24%.

62. რამდენ პროცენტს შეადგენს საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით?

- ა) 8%;
- ბ) 10%;
- გ) 18%;
- დ) 20%.

63. რამდენ პროცენტს შეადგენს მოგების გადასახადი საწარმოებისათვის?

- ა) 12%;
- ბ) 15 %;
- გ) 18%;
- დ) 20%.

64. მოგების შეფარდება გაწეულ ხარჯებთან არის:

- ა) თვითღირებულება;
- ბ) შრომისნაყოფიერება;

გ) რენტაბელობა;

დ) დამფუძნებელზე გასაცემი დივიდენდი.

65. რა არის პროდუქციის თვითღირებულება?

ა) მშენებლობის ეკონომიკური ეფექტურობის განმსაზღვრელი კოეფიციენტი;

ბ) ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი;

გ) წარმოების მიერ გაწეული დანახარჯები ფულად გამოსახულებაში, რაც დახარჯული იქნა პროდუქციის შექმნის პროცესში;

დ) პროდუქციის გასაყიდი ფასი.

66. 21-ე საუკუნეში ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის სამი მიზეზი არსებობს. ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი მიზეზიდან, მოძებნეთ მცდარი პასუხი:

ა) ეკონომიკა სამყაროს შეცნობაში დაგვეხმარება;

ბ) მისი დახმარებით უკეთ გავიგებთ ეკონომიკურ პროცესებს;

გ) მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური პოლიტიკის პოტენციალისა და ლიმიტების გაანალიზება.

დ) ეკონომიკის შესწავლის პროცესში გავიჩინოთ მრავალ მეგობარს.

67. ეკონომიკის ქვემოთ ჩამოთვლილი განმარტებებიდან, რომელს არ ეთანხმებით:

ა) ეკონომიკა შეისწავლის ჩვენს პლანეტაზე არსებული შეუზღუდავი რესურსების განკარგვის საკითხებს;

ბ) ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ როგორ განაგებს, საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს;

გ) ეკონომიკა არის მეცნიერება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ;

დ) ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ როგორ ეფექტურად მართავს, საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს.

68. რომელი განმარტება მოდის წინააღმდეგობაში გადაწყვეტილების მიღების პრინციპებთან:

- ა) რაიმე საქონლის შეძენის პროცესში ყოველთვის არ არის აუცილებელი სხვა სურვილების დათმობა;
- ბ) იმის მისაღებად, რაც მოგვწონს, როგორც წესი, უნდა დავთმოთ სხვა რამ, რაც აგრეთვე მოგვწონს;
- გ) გადაწყვეტილების მიღება ერთი მიზნის მეორესთან დაპირისპირებას მოითხოვს;
- დ) როდესაც ოჯახი იღებს გადაწყვეტილებას რომელიმე ახალ საქონელზე დამატებითი ერთი დოლარის დახარჯვის შესახებ, მას ერთი დოლარით ნაკლები რჩება სხვა საქონლის შესაძენად.

69. ის რაც დათმობილ უნდა იქნა რაიმეს მისაღებად - ალტერნატიული დანახარჯის მოცემული განმარტებიდან გამომდინარე, რას შეადგენს ერთი წლის განმავლობაში სტუდენტის კოლეჯში სწავლის ალტერნატიული დანახარჯი, თუ მან სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა სამუშაოსადმი თავის დანებების სანაცვლოდ, სადაც მისი ყოველთვიური სახელფასო განაცემი შეადგენდა 400 ლარს:

- ა) 2400 ლარი;
- ბ) 3000 ლარი;
- გ) 4000 ლარი;
- დ) 4800 ლარი.

70. რომელი ქვეყნის მთავრობის მიერ მიიღებოდა გადაწყვეტილება ცენტრალური დაგეგმვის პრინციპით, თუ, რა სახის საქონელი უნდა ეწარმოებინა ქვეყანას, რამდენი უნდა ეწარმოებინა, ვის უნდა ეწარმოებინა და ვის უნდა მოეხმარა ეს საქონელი:

- ა) აშშ;
- ბ) ესპანეთი;
- გ) ყოფილი საბჭოთა კავშირი;
- დ) ირანი.

71. ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა შორის რომელი შეიძლება გახდეს ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გადრმავეების მიზეზი:

- ა) მთავრობის მიერ დახარჯული თანხების შემცირება;
- ბ) მთავრობის მიერ მიმოქცევაში გამოტანილი ფულის რაოდენობის შემცირება;
- გ) მთავრობის მიერ დაბეჭდილი ფულის რაოდენობის გაზრდა;
- დ) მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების მიზნით, კომპანიებისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება.

72. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება მიკროეკონომიკის შესწავლის სფეროს:

- ა) უმუშევრობის დონე ქვეყანაში;
- ბ) ინფლაციის დონე;
- გ) კონკურენტი ფირმების საქმიანობა სამშენებლო ბაზარზე;
- დ) ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში.

73. მონოპოლისტური ბაზრისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია:

- ა) გასაყიდად შემოთავაზებული ყველა საქონელი ერთნაირია, მომწოდებელი მრავალი;
- ბ) მყიდველებისა და გამყიდველების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ერთი ცალკეული მყიდველი ან გამყიდველი საბაზრო ფასზე გავლენას ვერ ახდენს;
- გ) ბაზარი, სადაც ერთი გამყიდველია და სწორედ ის აწესებს ფასს მიწოდებულ პროდუქციაზე, ან გაწეულ მომსახურებაზე;
- დ) ბაზარი, სადაც რამოდენიმე გამყიდველია, ისინი არ მეტოქეობენ ერთმანეთთან აგრესიულად და გაურბიან მკაცრ კონკურენციას ფასების მაღალ დონეზე შენარჩუნების მიზნით.

74. რას ასახავს გრაფიკი მოთხოვნის მრუდის სახელწოდებით:

- ა) საქონლის ფასსა და მოთხოვნის რაოდენობას შორის დამოკიდებულებას;
- ბ) საქონლის რაოდენობას, რომლის შეძენის სურვილიც აქვს მყიდველს;
- გ) საქონლის რაოდენობას, რომლის ყიდვაც შეუძლია მყიდველს;
- დ) საქონლის რაოდენობა, რომლის გაყიდვის სურვილი და შესაძლებლობაც აქვს ყველა მომწოდებელს ერთდროულად.

75. როდის იწყებს სახელმწიფოს მხრიდან ფასების კონტროლის მექანიზმი მოქმედებას:

- ა) ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის შემუშავების პროცესში;
- ბ) როდესაც მთავრობა ატარებს საკუთარი კომპანიებისადმი პროტექციონისტულ ღონისძიებებს, უცხოური კომპანიების ცალკეულ სფეროში შემოსვლიდან თავის დაღწევის მიზნით;
- გ) როდესაც სახელმწიფო ახორციელებს უცხოური კომპანიების წახალისებას, მათი პროდუქციის, ან ამა თუ იმ მომსახურების ქვეყნის შიდა ბაზარზე დამკვიდრების მიზნით.
- დ) როდესაც პოლიტიკოსები თვლიან, რომ საქონლისა თუ მომსახურების ფასი უსამართლოა მყიდველების ან გამყიდველების მიმართ.

76. გაჩეული შრომისათვის გადასახდელს ეწოდება:

- ა) მოგება;
- ბ) დანაზოგი;
- გ) ხელფასი;
- დ) სარგებელი.

77. მიმდინარე ეტაპზე რა მიზანს ემსახურება მარკეტინგი?

- ა) კომპანიებისათვის მაქსიმალური მოგების მიღებას;
- ბ) ფირმის საწარმოო სტრატეგიის განსაზღვრას;

- გ) ფირმის საბაზრო სტრატეგიის ჩამოყალიბებას;
- დ) ყველა ზემოთჩამოთვლილს.

78. რა არის მიუღებელი შესაძლო კონკურენტებთან ბრძოლის სისტემური შესწავლის პროცესში?

- ა) მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- ბ) მათი სუსტი მხარეების გამოვლენა;
- გ) მათი საქმიანობის დადებითი მომენტების (ფორმებისა და მეთოდების) გამოყენება საკუთარი საწარმოო და გასაღების პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- დ) ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცალკეული ჩინოვნიკების მოსყიდვა კონკურენტი ფირმების მომავალ საქმიანობაზე გარკვეული, ხელისშემშლელი გარემოებების (მონიტორინგი, საგადასახადო შემოწმება, მკაცრი საბაჟო კონტროლი და ა.შ) ჩამოყალიბების მიზნით.

79. წარმოების პროცესში მონაწილეობის მიხედვით რომელი საქონელი არ მოიაზრება ბიზნესპროდუქტების ჯგუფში?

- ა) მასალები და დეტალები, ნახევარფაბრიკატები;
- ბ) კვების პროდუქტები მუშა-მოსამსახურეთათვის;
- გ) სტაციონალური შენობა-ნაგებობები;
- დ) დაზგა-დანადგარები.

80. სასაქონლო ნიშნის ქვემოთ მოცემული რომელი განმარტება მიგაჩნიათ სწორად?

- ა) მარკეტინგული თვალსაზრისით სასაქონლო ნიშანი საქონელზე პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სიმბოლოა. ის მიუთითებს იმაზე, თუ ვის ეკუთვნის მოცემული საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის უფლება და ვინაა პასუხისმგებელი საქონლის ხარისხზე;
- ბ) სასაქონლო ნიშანი მყიდველისათვის სათანადო ხარისხის საქონლის შეძენის მამოძრავებელი მოტივი და თავისებური სახის გარანტიაა, რაც აჩქარებს რეალიზაციის პროცესს;

გ) საქონლის სამარკო ნიშანი აღიქმება, როგორც საქონლის რაღაც განსაკუთრებულ მახასიათებელზე მიმანიშნებელი ისეთი რამ, რომელიც გამოარჩევს მას ანალოგიური საქონლისაგან.

დ) სამივე პასუხი სწორია, ისინი ავსებენ ერთმანეთს და ერთობლიობაში მეტ ინტერპრეტაციას ანიჭებენ სასაქონლო ნიშნის განმარტებას.

81. *ბაზარზე გამოტანილი ახალი საქონლის მარცხის მიზეზი რა შეიძლება იყოს?*

ა) ძვირი ფასი (ფასის განსაზღვრის პროცესში დაშვებული შეცდომა);

ბ) კონკურენტების ძლიერი საპასუხო ნაბიჯი (სწორი საპასუხო რეაქცია);

გ) მაღალი თვითდაჯერებულობა ახალი პროდუქციის გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

დ) ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი ერთად ან ცალ-ცალკე.

82. *ქვემოთ ჩამოთვლილი გადასახადებიდან, რომელი არის ორიენტირებული ბიზნესის საბოლოო შედეგებზე?*

ა) აქციზის გადასახადი;

ბ) საბაჟო გადასახადი;

გ) მოგების გადასახადი;

დ) ქონების გადასახადი.

83. *ახალი საამქროს მშენებლობაში ფირმის სახსრების დაბანდება შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ინვესტირებად:*

ა) დიახ, მსგავსი დაბანდებები მიღებულია ჩაითვალოს ინვესტირებად;

ბ) არა, მსგავსი დანახარჯები არ მიეკუთვნება საინვესტიციო საქმიანობას;

გ) ეს შეიძლება ჩაითვალოს ინვესტირებად, თუკი მისი დაფინანსების წყარო არის ფირმის მხოლოდ საკუთარი სახსრები;

დ) დიახ, ოღონდ თუკი მშენებლობის ვადა აღემატება ერთ წელს.

84. მეწარმემ იყიდა მსუბუქი ავტომობილი. ეს შეიძლება ჩაითვალოს ინვესტირებად, თუკი:

- ა) მან უნდა გამოიყენოს ავტომობილი სამხრეთში სამოგზაუროდ ოჯახთან ერთად;
- ბ) ავტომობილის შეძენა საერთოდ არ შეიძლება ჩაითვალოს ინვესტირებად;
- გ) მას გამიზნული აქვს ავტომობილი კომერციული მიზნებისათვის;
- დ) იგი გეგმავს ავტომობილის გარემონტებას და მისი პირადი მიზნებით გამოყენებას.

85. ინვესტიციები მიკროდონეზე ხელს უწყობენ:

- ა) სტრუქტურულ გარდაქმნებს ქვეყნის ეკონომიკაში;
- ბ) ქვეყნის საგადახდელო ბალანსის სტაბილიზაციას;
- გ) ინფლაციის შემცირებას;
- დ) საწარმოს ძირითადი ფონდების განახლებას.

86. ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანებიდან რომლის გადაჭრა შეიძლება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით:

- ა) ფულის მასის რეგულირება;
- ბ) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- გ) საპროცენტო განაკვეთის დონის რეგულირება;
- დ) სახელმწიფო მოწყობის გაუმჯობესება.

87. აქციები შეიძლება იყოს კაპიტალური დაბანდებები?

- ა) არა, ფასიანი ქაღალდები არ განეკუთვნებიან კაპიტალურ დაბანდებებს;
- ბ) შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს აქციები არის სამრეწველო საწარმოების;
- გ) შეიძლება, თუკი ისინი ჩაიდება კაპიტალური დაბანდების ობიექტებში;
- დ) არა, კაპიტალურ დაბანდებებს შეიძლება მოვაკუთვნოთ მხოლოდ ობლიგაციები და არა აქციები.

88. ინვესტიცია ეს არის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდების პროცესი მოგების (შემოსავლის) ან სხვა დადებითი ეფექტის მიღების მიზნით:

- ა) დიახ, ინვესტიციების განმარტება სწორედ ასეთია;
- ბ) ასე განმარტავენ მხოლოდ ფინანსურ სახსრებში დაბანდებულ ინვესტიციას;
- გ) არა, ასე განმარტება ინვესტირების და არა ინვესტიციების ცნება;
- დ) დიახ, თუკი ამ დაბანდებას ახორციელებს კერძო სექტორი.

89. საწარმომ წლის შედეგების მიხედვით მიიღო წმინდა მოგება 100 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 40 ათასი ლარი გადაუხადეს აქციონერებს დივიდენდების სახით, ხოლო 60 ათასი ლარი ისევ ჩაიდო წამოებაში. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ასეთი გზით საწარმომ განახორციელა საინვესტიციო პროექტის დაფინანსება?

- ა) დიახ, 100 ათასი ლარის ოდენობით;
- ბ) დიახ, 60 ათასი ლარის ოდენობით;
- გ) დიახ, 40 ათასი ლარის ოდენობით;
- გ) არა, ასეთი თანხები არ განეკუთვნება დაფინანსების წყაროებს.

90. საინვესტიციო საქმიანობის კანონის შესაბამისად, ინვესტირების ობიექტებს ეკუთვნის:

- ა) ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაზრები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
- ბ) მოძრავი და უძრავი ქონება (შენობები, ნაგებობები და სხვა მატერიალური ფასეულობები);
- გ) მიწით და სხვა რესურსებით სარგებლობის უფლებები, აგრეთვე, სხვა ქონებრივი უფლებები და ფასეულობები;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად ან ცალკე-ცალკე აღებული.

91. მუდმივი ცვლილებების პირობებში გაურკვეველობიდან გამოსვლასა და მრავალმიმართულებიანი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში რა მოეთხოვება წარმატებულ ფინანსურ მენეჯერს?

- ა) კომპანიისათვის საჭირო აქტივების ეფექტიანი შეძენა;
- ბ) მიმდინარე პროექტების დაფინანსება;
- გ) ფინანსური ნაკადების მართვა;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად.

92. რა უარყოფით შედეგებს განაპირობებს ფინანსური საშუალებების არარაციონალური გამოყენება?

- ა) ეკონომიკური ზრდის შენელებას;
- ბ) მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ცალკეული კომპანიის საქმიანობას;
- გ) აფერხებს დასახული სოციალური პროგრამების რეალიზაციას;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილს ერთად.

93. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია ფინანსური რესურსების მოზიდვის ყველაზე დაბალი რისკის შემცველი წყარო?

- ა) აქციონერებზე გასაცემი დივიდენდი;
- ბ) გრძელვადიანი ლიზინგი;
- გ) მოკლევადიანი სესხი;
- დ) კომპანიის ობლიგაციების ან აქციების დამატებითი რაოდენობის გამოშვება და გაყიდვა.

94. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ფაქტორის გათვალისწინებაა განსაკუთრებულად აუცილებელი ფინანსური მენეჯერებისათვის?

- ა) გაძლიერებული კორპორაციული კონკურენცია;
- ბ) ინფლაციის და პროცენტული განაკვეთების ცვალებადობა;
- გ) სავალუტო გაცვლითი კურსების მუდმივი რყევები;
- ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად.

95. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს მიაკუთვნებდით ინფლაციის დამახასიათებელ ნიშანს?

- ა) ქალაქის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების გაუფასურება (მსყიდველობითი უნარის დაცემა);
- ბ) პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების საერთო დონის ზრდა;
- გ) უცხოური ვალუტის კურსის ზრდა და იმ ქვეყნის ვალუტის კურსის დაცემა, სადაც ინფლაციაა;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად.

96. ინვესტიციების მოზიდვის წყაროებს მშენებლობაში შეადგენს:

- ა) საბიუჯეტო სახსრები;
- ბ) საკუთარი დანაზოგები;
- გ) სესხად აღებული;
- დ) სამივე ერთად.

97. რას ნიშნავს მშენებლობის ინვესტირება?

- ა) ფულის დაბანდებას;
- ბ) მშენებლობაში მოგების მიღების მიზნით ფულის განთავსების პროცესს;
- გ) ფულადი კაპიტალის ჩუქებას;
- დ) მშენებლობაზე ფასების აწევის პერიოდს.

98. რას წარმოადგენს საინვესტიციო ციკლი მშენებლობაში?

- ა) მშენებლობის დასაბუთებას;
- ბ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას;
- გ) მშენებლობის დაწყება-დასრულებას;
- დ) ყველაფერს ერთად აღებულს.

99. რას წარმოადგენს საბანკო კრედიტი მშენებლობაში?

- ა) მოკლევადიან სესხს;
- ბ) საქველმოქმედო აქციას;
- გ) სამთავრობო სტრუქტურების მიერ გაცემულ თანხებს;
- დ) გრძელვადიან სესხს.

100. რას ნიშნავს საინვესტიციო რისკი?

- ა) ფასიანი ქაღალდების სფეროში ფასების ზრდის ან კლებადობის პერიოდს;
- ბ) შემოსავლიანობის შეფარდებას მოსალოდნელ ხარჯებთან;
- გ) მოსალოდნელი სიდიდიდან ფაქტიური ინვესტიციური შემოსავლის სიდიდის გადახრის ალბათობას;
- დ) საშუალო საბაზრო შემოსავლიანობის ცვლილებას.

ტესტები ცალკეული საგნობრივი მიმართულებების მიხედვით ასე განაწილდა:

1-17 ტესტები: მენეჯმენტის პრინციპები

18-35 ტესტები: ბიზნესის საფუძვლები

36-65 ტესტები: მშენებლობის ეკონომიკა

66-82 ტესტები: ეკონომიკის პრინციპები

83-100 ტესტები: საინვესტიციო საქმიანობა